კონკრეტული კვლევების კონკურსი

Integrity Action-ის ინტეგრირების საგანმანათლებლო ქსელი

აცხადებს ნაშრომების მიღებას

კონკრეტული კვლევების კონკურსის

ფარგლებში თემაზე

ინტეგრითი ბიზნესის სფეროში საქართველოში

კონკურსის მიზანია:

- ინტეგრითის პრინციპების[1] ბიზნესის სფეროში არსებულ საგანმანათლებლო რესურსებში პრაქტიკული გამოყენება;
- ბიზნესის სწავლების სფეროში სასწავლო და მეთოდური მასალების ხელმისაწვდომობის ამაღლება, განსაკუთრებით ინტეგრითის და ანტი-კორუფციის საკითხებზე;
- ისეთი კვლევების წახალისება, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო სისტემაში ინტერაქტიული სასწავლო მეთოდების გამოყენებას, კონკრეტული კვლევების შემუშავების კუთხით;
- ისეთი კონკრეტული კვლევების ხელმისაწვდომობის განმტკიცება, რომლებიც საქართველოში კორუფციის და ინტეგრითის ნაკლებობის რეალურ პრობლემებზეა კონცენტრირებული;

გამარჯვებული 3 (სამი) საუკეთესო ნაშრომის ავტორებს გადაეცემათ ერთჯერადი ფულადი პრიზები 500, 300 და 200 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ნაშრომები გამოქვეყნდება ინტერნეტში მსოფლიოს მასშტაბით სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით.

საპატიო პრიზები გადაეცემათ დამატებით კიდევ რამდენიმე ღირებული ნაშრომის ავტორებს.

---

[1] ეს შეიძლება იყოს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეთიკის პრინციპების მიხედვით საქმიანობა, და ა.შ.

გამარჯვებულები მიწვეულნი იქნებიან მათი ნაშრომების პრეზენტაციის და დისკუსიის ფორუმზე, რომელიც გაიმართება Integrity Action-ის ბიზნესის მრჩეველთა საბჭოს შეხვედრის ფარგლებში, 2013 წლის მაისის ბოლოს, ბაკურიანში (საქართველო)

განრიგი:

- 15 მარტი 2013: **რეგიონული კონკურსის გამოცხადება;**
- 15 **აპრილი** 2013: **ნაშრომების წარდგენის ვადაა 2013 წლის 15 აპრილი** !!!
- 15 მაისი 2013: ექსპერტთა საბჭო ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას;
- 20 მაისი 2013: გამარჯვებულებსის შეტყობინება იმეილით ან ტელეფონით;
- 24 მაისი, 2013: გამარჯვებულთა გაცნობა Integrity Action-ის გლობალური საზოგადოებისათვის;

გადაწყვეტილებას მიიღებს მეცნიერ-მკვლევრებისგან & რეგიონის ბიზნეს ლიდერებისგან დაკომპლექტებული ბიზნესის მრჩეველთა საბჭო